ლაპარაკის დავალებები

I დავალება.

პირველი შეკითხვა.
რომელი ისტორიული ძეგლის ნახვას ურჩევდით მოსწავლეებს და რატომ?

მეორე შეკითხვა.
სად გირჩევნიათ შვებულების გატარება: მყუდრო გარემოში თუ ტურისტულ მოგზაურობაში?
<u>პასუხი დაასაბუთეთ</u>.

II დავალება.

გაიხსენეთ მხატვრული ფილმი, რომელმაც ბავშვობაში თქვენზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა:

- გვიამბეთ, რით დაგამახსოვრდათ ეს ფილმი.
- აღწერეთ თქვენი მაშინდელი განცდები და შთაბეჭდილებები.

III დავალება.

მოისმინეთ სიტუაციის აღწერა და იმსჯელეთ არგუმენტირებულად.

სიტუაცია:

გაკვეთილზე მოსწავლეებმა წამოიწყეს კამათი – უნდა იყოს თუ არა ოჯახში მშობლებს შორის განაწილებული მოვალეობები. ზოგის აზრით, უმჯობესია, დედას ოჯახის საქმე და შვილებზე ზრუნვა ეკისრებოდეს, მამას – ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა.

რას ეტყოდით მოსწავლეებს ამ საკითხთან დაკავშირებით?

არგუმენტირებულად დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია!